განკარგულება:**g-81.81221877**
თარიღი:**06/07/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №31

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

მუხლი 1. მოწონებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტში 2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებებლი შემდეგი პროექტები:

1. ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩაზე ტურისტული ცენტრის ეზოს შემოღობვისა და დრენაჟის მოწყობა, მიმდებარედ რუსთაველის ქუჩაზე უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია;

2. სოფ. ჩქუმში ,,ცივი ქვის'' მიმდებარედ ტერიტორიის შემოღობვისა და არსებული ტუალეტის რეაბილიტაციისა და წყალმომარაგების სამუშაოები;

3. ქ. ცაგეში რუსთაველის ქ №59 საზოგადოებრივი ტუალეტის რეაბილიტაციის, ეზოს კეთილმოწყობის, შიგა და გარე სანტექნიკური და შიგა და გარე ელ. მომარაგების სამუშაოები;

4. ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ 9 აპრილის მემორიალის კეთილმოწყობის სამუშაოები;

5. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ორბელში საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

6. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.წიფერჩში 30 აღსაზრდელზე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა;

7. სოფ. ქულბაქში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა;

8. ქ. ცაგერში კეჭნარის არხის ხიდბოგირის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

9. ქ. ცაგერში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ცაგერის მერიის შენობის სახურავის შეცვლის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;

10. სოფ. ორხვში საზოგადოებრივი თავშეყრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

11. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ტვიშის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;

12. სოფ. ქორენიშის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;

13. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. ქორენიშის გზის რეაბილიტაცია;

მუხლი 2. ნება დაერთოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორცელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

მუხლი 3. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს 2022 წლის ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან განახორციელოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსება და საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი